სსკგ-ის თავმჯდომარე წმინდა საყდრის სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების მდივანს შეხვდა

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 04.08.2022. 4 აგვისტოს ვატიკანის მოციქულთა სასახლეში შედგა მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარის, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტ ანტონის შეხვედრა და წმინდა საყდრის სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების მდივანთან, მთავარეპისკოპოს პოლ რიჩარდ გალახერთან. მიტროპოლიტი ანტონი რომში სამღვდელთმთავრო ვიზიტით იმყოფება რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სამრევლოთა ადმინისტრაციის საქმესთან დაკავშირებით.

ხანგრძლივი საუბრის პროცესში მხარეებმა განიხილეს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისა და რომაულ-კათოლიკური ეკლესიის ურთიერთდამოკიდებულებასთან დაკავშირებული მიმდინარე საკითხები.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/89507/